სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

28/07/2025

MES 2 25 0000918570

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2025-2026 სასწავლო წლისათვის შემოდგომის სემესტრში სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და 49-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, თესაუ-ს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს (დოქტურანტურის) დებულებების და უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (24/07/2025წ.N908300), სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის (22/07/2025წ.№901204) და აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის (22/07/2025წ.№901147) სამსახურებრივი ბარათების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №28 სხდომის ოქმისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (25/07/2025წ; N916303) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წლისათვის დოქტორანტთა მიღება განხორციელდეს შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი სადოქტორო საგანმანათ ლებლო პროგრამა

- **გამოყენებითი ეკონომიკის სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ადგილი;

ბ) აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი სადოქტორ ო საგანმანათლებლო პროგრამა

- სურსათის ტექნოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ადგილი;

გ) განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სადოქტორო საგანმანათლებლ ო პროგრამა

- ,,განათლების მეცნიერებების" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - 5 ადგილი;

2.დოქტორანტურაში ჩარიცხვა მოხდეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად;
3.დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ა) მოკლე სამოტივაციო წერილი, სადაც დასაბუთებული იქნება კვლევითი ინტერესები და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების სურვილი, ასევე პროგრამით განსაზღვრული სხვა წინაპირობები (დამატებითი აქტივობები და დოკუმენტაცია);
ბ) განმცხადებლის ავტობიოგრაფია-CV;
გ) 2 ფოტოსურათი ზომებით 3X4;
დ) პირადობის მოწმობის ასლი /დედანთან ერთად/;
ე) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებული ასლი /დედანთან ერთად/ (მაგისტრის დიპლომთან გათანაბრებული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან დიპლომის ნამდვილობის დადასტურების დოკუმენტი. თუ ვერ ხერხდება აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა მისაღებ გამოცდამდე იგი შესაძლებალია წარმოდგენილ იქნას სადოქტორო პროგრამის დასრულებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის საბოლოო გარკვევამდე დოქტორანტს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.) ;
ვ) დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;
ზ) დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოსცდის/გასაუბრების შედეგებისა და კონკრეტული პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შედეგად;
თ) დოქტორანტობის კანდიდატი, რომლის მშობლიურ ენას არ წარმოადგენს ქართული ენა, წარმატებით უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა ქართულ ენაში (გამოცდის მინიმალური ზღვარი 51 ქულა) ან გათავისუფლდება ქართული ენის გამოცდიდან ქართული ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელ სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში;
ი) სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა;
კ) 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდის ქვითარი და სხვა დოკუმენტები, თუ ასეთს ითვალისწინებს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა;

4. საბუთების მიღება იწარმოებს 2025 წლის 19 აგვისტოდან 2025 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით. საბუთების პირველადი შემოწმება მოხდეს ფაკულტეტზე, სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომდგენს. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვიზირებულ განცხადებას დანარჩენ საბუთებთან ერთად საბუთების მიღების დასრულებისას აბარებს უნივერსიტეტის კანცელარიას;
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდები (სპეციალობა, უცხო ენა) ჩატარდეს 2025 წლის 4 სექტემბერს სპეციალობაში, 2025 წლის 5 სექტემბერს უცხო ენაში. გამოცდა ჩატარდება, თუ პროგრამაზე ჩასარიცხ კონკურსანტთა რაოდენობა იქნება ორი ან მეტი;
6. სტუდენტთა მიღება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ გამოცდას წარმატებით ჩააბარებს 2 ან მეტი დოქტორანტი;
7. გამოცდების შედეგები გამოცხადდეს 2025 წლის 5-8 სექტემბერს;
8. გამოცდების შედეგების გასაჩივრების და საჩივრის განხილვის ვადად განისაზღვროს 2025 წლის 5-9 სექტემბერი;
9. დოქტორანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2025 წლის 5-10 სექტემბერს;
10. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:

ა. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
ბ. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად 2025 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით უზრუნველყონ სპეციალობის საგამოცდო საკითხების ვებ–გვერდზე განთავსება;
გ. სპეციალობაში საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შექმნაზე წარდგინების წარმოდგენა 2025 წლის 2 სექტემბრის ჩათვლით;
დ. მისაღებ გამოცდაზე დაშვების შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა 2025 წლის 3 სექტემბერს;

ე. დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა 2025 წლის 5-10 სექტემბრის ჩათვლით;

11. დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს წარმოადგინოს სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია 2025 წლის 11 სექტემბერს;
12. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
13. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ი. შიოშვილს);
14. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
15.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფინანსურ-მატერიალური რესურსების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს;
16.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
17.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს (თ. ასლანიშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
18. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
19. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა